ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6282567

ნომერი: AR1941233

თარიღი : 26.12.2022

გაცემის თარიღი : 12.01.2023

გაცნობის თარიღი : 13.01.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშვილი , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ოსეფაიშვილი პ/ნ 01013020701
- ქ. თბილისი, მ.ბროსეს ქ. N2 ოფისი N20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 26 დეკემბერს №AR1941233 განცხადებით მომართა გიორგი ოსეფაიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 15

დეკემბრის №6251358 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებით №01.19.19.004.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 15 დეკემბრიდან 2024 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის II რიგის მე-5 ეტაპში არასწორად არის მითითებული შენობა-ნაგებობის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული სამუშაოების მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკიდან ამოღებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2022 წლის 07 ოქტომბერს №AR1924992 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.19.19.004.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. აღნიშნულ განცხადებაზე განმცხადებლის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება, რომლიდანაც დგინდება, რომ შენობა საძირკვლის მონოლითური რკ/ბეტონის წიბოვანი ფილით ფუძნდება. თუმცა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა შენობა-ნაგებობის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები. ამასთან, სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანების მე-4 პუნქტში (მშენებლობის ეტაპები) შენობა-ნაგებობის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები ასევე, არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.000 ნიშნულამდე, შენობა-ნაგებობის 0.000 ნიშნულიდან ყოველ 7 მეტრ სიმაღლეზე (სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.“
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკით (pdf ფაილის მე-17 ფურცელი).
3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251358 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.